ვინც დაუმორჩილებლობას გამოიჩენს და საზოგადოებისგან(ჯამაათი) ჩამოშორდება, შემდეგ კი სიკვდილს შეხვდება, ის ჯაჰილიის (უვიცობის)

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც დაუმორჩილებლობას გამოიჩენს და საზოგადოებისგან(ჯამაათი) ჩამოშორდება, შემდეგ კი სიკვდილს შეხვდება, ის ჯაჰილიის (უვიცობის) დროის სიკვდილით მოკვდება. ხოლო თუ ვინმე იბრძოლებს სიცრუის ან არეულობის დროშის ქვეშ, გაბრაზებული საკუთარი ტომის გამო, მოწოდებას გააკეთებს საკუთარი ტომის გამორჩეულობისთვის ან თავის ტომს დაიცავს სხვების ჩაგვრისას და მოკვდება, მისი სიკვდილი ჯაჰილიის დროის სიკვდილს დაემსგავსება. ვინც ჩემს საზოგადოებას წინააღუდგება, მოსპობს როგორც მართალს, ასევე ცოდვილს მისგან, არ დაინდობს არც ერთ მორწმუნეს და არც იმას, ვისთანაც შეთანხმება აქვს დადებული, მას ჩემთან კავშირი არ ექნება, ისევე როგორც მე არ ვიქნები მასთან დაკავშირებული».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ვინც გამოვა მმართველის მორჩილებიდან და დატოვებს ისლამის იმ ერთიან საზოგადოებას, რომელიც შეთანხმებულია იმამის ერთუგულებაზე(ფიცზე), და ამ მდგომარეობაში მოკვდება, ის მოკვდება (ჯააჰილების)უმეცრობის ხალხის სიკვდილით. უმეცრობის დროს ხალხი არ ემორჩილებოდა ამირებს და არ ერთიანდებოდა ერთ ჯგუფად, არამედ იყვნენ დაყოფილნი ჯგუფებად და კლანებად, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ. . ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აცნობა, რომ ვინც იბრძოლებს ისეთი დროშის ქვეშ, სადაც არ გამოირჩევა სიმართლისა და სიცრუის გზები, და განრისხებულია მხოლოდ თავისი ხალხის ან ტომის მიმართ ბრმა მიკერძოების გამო, და არა რელიგიისა და სიმართლის დასაცავად, ის იბრძვის გაურკვევლად ცოდნისა და წინდახედულობის გარეშე და თუ ის ასეთ მდგომარეობაში მოკვდება, მისი სიკვდილი უმეცრობის დროის სიკვდილს დაემსგავსება. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასევე აღნიშნა, რომ ვინც აუჯანყდება თავის საზოგადოებას, ურტყამს მის მართალ და ცოდვილ წევრებს, არ აქცევს ყურადღებას თავის ქმედებებს და არ შიშობს შედეგების გამო, კლავს მორწმუნეებს და არ ასრულებს შეთანხმებებს არც ურწმუნოებთან არც მუსლიმ მმართველთან, არამედ არღვევს მათ, ეს არის დიდი ცოდვა. ვინც ასეთ ქმედებებს ჩაიდენს, ის იმსახურებს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიერ მოცემულ მკაცრ მუქარას.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee